SOCAR
KULEVI OIL TERMINAL

Black Sea Terminal LLC
Kulevi, Khobi, 5800, Georgia
Phone: (995 32) 224 38 38
Fax: (995 32) 224 38 39
E-mail: info@bst.socar.az
www.kulevioilterminal.com

№ SCRK/LO-21/04-0601

2021 წლის 8 აპრილი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს , ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ხობის მუნიციპალიტეტში შპს „შავი ზღვის ტერმინალი" ფლობს ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთ საზღვაო ტერმინალს, რომლის პროექტის ფარგლებში ფუნქციონირებს N6 სარეზერვუარო პარკი. აღნიშნული (№6) სარეზერვუარო პარკის ფუნქციონირების საკანონმდებლო საფუძველს წარმოადგენს:

ა) შპს „შავი ზღვის ტერმინალის" ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთ საზღვაო ტერმინალში, №6 სარეზერვუარო პარკში, 2000 კუბ.მ მოცულობის ტოქსიკური და სხვა საშიში ნივთიერებების (იზოპროპილის სპირტის) საცავის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ 2021 წლის 11 იანვრის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N 2-29;

ბ) შპს „შავი ზღვის ტერმინალის" ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთ საზღვაო ტერმინალში, №6 სარეზერვუარო პარკში, 2X3000 კუბ.მ და 2X2000 კუბ.მ მოცულობის ნავთობპროდუქტების (პიროლიზური პროდუქტის და ინდუსტრიული ზეთის) საცავის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ 2021 წლის 11 იანვრის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N 2-30;

ამჟამად, კომპანიის მიერ დაგეგმილია N6 სარეზერვუარო პარკის რეკონსტრუქცია. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია არსებული ხუთი რეზერვუარის მიმდებარედ მე-6-ე (რეზერვუარი N30) 1X5000მ³ მოცულობის რეზერვუარის მოწყობა თხევადი პიროლიზური პროდუქტისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, N6 სარეზერვუარო პარკის რეკონსტრუქცია გარემოსადაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე, ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას.

მოგმართავთ სკრინინგის განცხადებით საქართველოს კანონის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად და წარმოგიდგენთ ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთი საზღვაო ტერმინალის N6 სარეზერვუარო პარკში დამატებით ახალი 1x5000 მ³ მოცულობის რეზერვუარის მოწყობის პროექტის (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) სკრინინგის ანგარიშს.

დანართი: სკრინინგის ანგარიში 65 გვერდზე და CD დისკი (სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია).

პატივისცემით,

კარიმ გულიევი

შპს „შავი ზღვის ტერმინალი"-ს
გენერალური დირექტორი

Black Sea Terminal LLC

Digitally signed by Black Sea Terminal LLC
Date: 2021.04.08 15:02:48 +04'00'

LIMITED COMPANY "BLACK SEA TERMINAL" 204892170

№ 6464 12.04.2021